ბ რ ძ ა ნ ე ბ ა # 15-03/12-01

ქ.თბილისი 31 დეკემბერი, 2020 წელი

SCIENTIA • LABOR • LIBERTAS
აგრარული უნივერსიტეტი

საქართველოს
აგრარული
უნივერსიტეტი
ა(ა)იპ
კახა ბენდუქიძის კამპუსი
დავით აღმაშენებლის
ხეივანი #240, 0159,
თბილისი, საქართველო

AGRICULTURAL UNIVERSITY
OF GEORGIA
NNLE
Kakha Bendukidze Campus
#240 David Aghmashenebeli
Alley, 0159, Tbilisi, Georgia

+(995 32) 2 200 901
info@agruni.edu.ge
www.agruni.edu.ge

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოეთიკის და ცხოველთა მოვლის და გამოყენების საბჭოს დებულება თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

დანართი - 4 ფურცელი

რექტორი ვახტანგ ლეჟავა

ეროვნული იურიდიული პირი (საქართველოს სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტი) LEGAL ENTITY (NON-COMMERCIAL) OF GEORGIAN AGRICULTURAL UNIVERSITY 211325653

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოეთიკის და ცხოველთა მოვლის და გამოყენების საბჭოს

დებულება

SCIENTIA • LABOR • LIBERTAS

აგრარული
უნივერსიტეტი

თბილისი,

2020 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ეს დებულება არეგულირებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ბიოეთიკის და ცხოველთა მოვლის და გამოყენების საბჭოს (შემდგომში „საბჭო") საქმიანობის პრინციპებს, ადგენს ადამიანის და ცხოველის მასალის გამოყენებით კვლევების ჩატარების დროს სამოქმედო პრინციპებისა და ამ მასალასთან მოპყრობის წესს.

1.2. წინამდებარე დებულებით დგინდება სავალდებულო წესები და პრინციპები საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში განხორციელებულ ისეთ კვლევებზე, რომლებიც ტარდება ადამიანის, ცხოველის და ცხოველთა მასალის გამოყენებით.

1.3. საბჭოს ძირითადი მიზანია უნივერსიტეტში ადამიანებზე და ცხოველებზე წარმოებული ბიოსამედიცინო კვლევების და სწავლების შესაბამისობის უზრუნველყოფა საერთაშორისოდ აღიარებულ ეთიკურ და სამართლებრივ სტანდარტებთან.

1.4. ამ დებულებით დადგენილი პროცედურები ვრცელდება, როგორც კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების სამეცნიერო მუშაობაზე, ისე, სასწავლო პროცესში გამოყენებულ სადემონსტრაციო ექსპერიმენტებსა და სტუდენტების მიერ შესრულებულ პრაქტიკულ სამუშაოებზე.

მუხლი 2. საბჭოს სტრუქტურა - შემადგენლობა და ფუნქციები

2.1. საბჭოს შემადგენლობა:

2.1.1 საბჭო შედგება მინიმუმ 7 წევრისაგან - აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისაგან.

2.1.2 საბჭოს შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

2.1.3 საბჭოს ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი.

2.1.4 საბჭოს სხდომაზე განიხილება შემოსული აპლიკაციების შესაბამისობა ბიოეთიკის და ცხოველთა მოვლის საერთაშორისო ნორმებთან.

2.2. საბჭოს ფუნქციებია:

2.2.1. კვლევის და სწავლების გეგმის მეთოდოლოგიის ეთიკური შეფასება და სათანადო დასკვნის მომზადება;

2.2.2. ყველა კვლევის (ადამიანის/ცხოველის მასალა, ადამიანის/ცხოველის სინჯები ან/და დაცული ინფორმაცია, რომელიც ადამიანებისაგან/ცხოველებისგან უნდა შეგროვდეს), დაწყებამდე კვლევის რისკების და მისი სარგებლიანობის შეფასება;

2.2.3. სხვა საქმიანობა, რომლის მიზანია კვლევის და სწავლების ეთიკის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება უნივერსიტეტში.

მუხლი 3. კვლევის გეგმის წარდგენა

3.1. საბჭოს უნდა მიეწოდოს ელექტრონული ფორმით განცხადება ბიოსამედიცინო კვლევის გეგმის ეთიკური შეფასების მოთხოვნის შესახებ და სააპლიკაციო ფორმა, რომელსაც ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი და რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

3.1.1. მკვლევარის ან მკვლევართა და სხვა პასუხისმგებელ პირთა საკონტაქტო მონაცემები, მათი კვალიფიკაცია და პოზიცია, რომლებიც პასუხიმგებლები არიან კვლევის ობიექტზე ჩასატარებელ ექსპერიმენტებზე;

3.1.2. კვლევის მიზანი და ადამიანზე ან ცხოველებზე მისი ჩატარების აუცილებლობის, ცოცხალი ორგანიზმების საერთო რაოდენობის (სახეობრივი კუთვნებადობის მითითებით), შერჩევისა და გამოყენების მეცნიერული დასაბუთება;

3.1.3. კვლევის დიზაინი და ექსპერიმენტის ხანგრძლიობა, ადამიანის/ცხოველთა გაუტკივარებისა და საჭიროების შემთხვევაში ცხოველთა ევთანაზიისთვის გამოყენებული მეთოდები, ბიოლოგიური ნარჩენების უტილიზაციის გზები.

3.2. კვლევაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ საბჭოს, რომელიც განიხილავს ცვლილების შესაბამისობას.

3.3. საბჭოს დოკუმენტაცია მათ შორის სხდომის ოქმები უნდა ინახებოდეს შესაბამისი კვლევის დასრულებიდან არანაკლებ 3 (სამი) წლის განმავლობაში.

მუხლი 4. საბჭოს რეგლამენტი

4.1. აპლიკანტი შევსებულ განცხადებას და სააპლიკაციო ფორმას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით უგზავნის საბჭოს წევრებს.

4.2. საბჭოს წევრები 3.1. პუქნტში აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, უფლებამოსილნი არიან საკუთარი მოსაზრება ელექტრონულად წარუდგინონ საბჭოს წევრებს და ასევე, მოითხოვონ საბჭოს სხდომის გამართვა და ზეპირი მოსმენა რა შემთხვევაშიც საბჭოს სხდომის გამართვის თარიღს ადგენს საბჭოს თავმჯდომარე.

4.3. ზემოაღნიშნული შვიდდღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ საბჭოს წევრებს განსხვავებული მოსაზრება არ ექნებათ ითვლება, რომ საბჭომ დაადგინა წარდგენილი განაცხადის შესაბამისობა.

4.4. ზეპირი მოსმენის შემთხვევაში საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს სხვა წევრი თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

4.5. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.

4.6. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არის საბჭოს წევრი, იგი ვალდებულია საკუთარ განცხადებაზე გააკეთოს აცილება და ის არ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას.

4.7. კენჭისყრის შემდეგ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ წინადადებას მხარს უჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4.8. საჭიროების შემთხვევაში ჩაინიშნება საბჭოს სხდომა. საბჭოს სხდომის დღის წესრიგი საბჭოს წევრებს ეგზავნებათ სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე.

4.9. საბჭოს სხდომის ოქმს აფორმებს მდივანი.

4.10. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4.11. საბჭოს თავმჯდომარეს სხდომის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად შეუძლია მოიწვიოს პირები, რომლებიც არ არიან საბჭოს წევრები.

4.12. საბჭო უფლებამოსილია აწარმოოს საბჭოს სხდომის ან მისი ნაწილის აუდიო/ვიდეო ჩაწერა.

4.13. აპლიკანტი მოხსენების შემდეგ ტოვებს სხდომას. მსჯელობა და კამათი გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმართება მხოლოდ საბჭოს წევრებს შორის. სხდომის თავმჯდომარე გამოავლენს გადაწყვეტილების მომხრე წევრებს, მოწინააღმდეგე წევრებს და წევრებს რომლებმაც ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს ან გამოთქვეს განსხვავებული აზრი. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში საბჭოს წევრს შეუძლია 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული აზრი და წარუდგინოს საბჭოს მდივანს სხდომის ოქმზე დართვის მიზნით.